632
12-11-2010

# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №ⴌ-574

ქ. თბილისი "08" 11 2010წ.

### საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ჯოენის სახელობის სამედიცინო ცენტრი"-ზე ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტისა და „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „კ" ქვეპუნქტის და მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ქ" ქვეპუნქტის საფუძველზე:

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ჯოენის სახელობის სამედიცინო ცენტრი"-ზე ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზია მაიონებელი გამოსხივების იმ მაგენერირებელი მოწყობილობების სამედიცინო მიზნით გამოყენებისათვის, რომლებიც არ შეიცავს რადიოაქტიურ წყაროებს ან/და ბირთვულ მასალებს.
2. დაევალოს სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს გასცეს ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისი სალიცენზიო მოწმობა.
3. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი„ჯოენის სახელობის სამედიცინო ცენტრი"-ს.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ჯოენის სახელობის სამედიცინო ცენტრი"-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ჯოენის სახელობის სამედიცინო ცენტრი"-ს განცხადება.

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ჯოენის სახელობის სამედიცინო ცენტრი"-ს.